პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პარასკევი, 5 დეკემბერი 1924 წ.

წელიწადი მეოთხე ფასი 3 კაპ.

წითელი მეომარი

№ 666 1 და 2 ქ. მ. დ. პოლიტ-განების ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ევანგულოვის ქუჩა საველე ელ. 16

განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვონეც. ნომპარელის სტრიქონი სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათამდე

ერთიანი ფრონტით მსოფლიო რეაქციის წინააღმდეგ.

ოთხშაბათს საღამოს ინგლიის მუშათა დელეგაციამ დასტოვა საქართველოს საზღვრები და გაეშურა უკან სამშობლოში.

სულ რამოდენიმე დღე დაჰყო ამ დელეგაციამ თბილისში. მაგრამ ეს მცირე ხანიც საკმარისი იყო, რომ ის სავსებით გასცნობოდა საქართველოს სინამდვილეს და ქართველ მშრომელთა მასების ნამდვილ სულისკვეთებას.

„როდესაც ჩვენ მოვდიოდით საქართველოში ჩვენ გვეგონა, რომ ვნახავდით აწიოკებულ მხარეს, ათასიან რუსის ჯარს და დამონავებულ ხალხს", ასე განაცხადა პროფკავშირთა საბჭოს საზეიმო სხდომაზე ერთ-ერთმა დელეგაციის წევრმა.

„ის რაც ჩვენ გაგვიგონეთ ინგლისში საბჭოთა საქართველოს შესახებ—არის „საზიზღარი ცილის წამებათა ზღვაო"—აი რა სთქვა მეორე დღეს მეორე დელეგატთაგანმა, როდესაც თავის წინაშე დაინახა თბილისის პროლეტარიატის აზღვავებული რიგები, რომლებიც აღფრთოვანებით ესალმებოდენ ინგლისელ ამხანაგებს.

ინგლისის დელეგატებმა ყველაფერი ნახეს, არც ერთი მნიშვნელოვანის დათვალიერება მათ არ გამორჩენიათ. ყოველგან მათ სრულიად წინააღმდეგში დარწმუნდენ. რაც უფრო აკვირდებოდენ ისინი ჩვენს ცხოვრებას, საქართველოს მშრომელთა შემოქმედებითი მუშაობას, მით მეტ განცვიფრებაში და გაკვირვებაში ვარდებოდენ ისინი.

დანგრევის და აწიოკების მაგიერ, მათ იხილეს აღმშენებლობა და სრული მშვიდობიანობა. დამონავებული ხალხის მაგიერ მათ იხილეს თავისუფალი მშრომელთა რიგები, რომელთა სახეზე თითეული მათგანი ამოიკითხავდა: „მე სრული ბატონ-პატრონი ვარ საქართველოს რესპუბლიკის და უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დავიცავ ჩემს საბჭოთა ხელისუფლებასო".

ინგლისელ ამხანაგებმა ყოველივე ეს ნახეს, სავსებით შეითვისეს და სიტყვა მოგვცეს, რომ ისინი იტყვიან ყველაფერს მართალს როგორც ჩვენზე, ისე მთელ საბჭოთა კავშირის სინამდვილეზე.

თბილისის პროლეტარიატმა არამც თუ დაანახა მათ თავისი ცხოვრების მხოლოდ სინამდვილე, მან თავისი მტკიცე „სურვილი გამოსთქვა მუშათა მთლიანი ფრონტის შექმნის შესახებ და აქეთკენ მოუწოდა სტუმრებს.

ასე ამნაირად შეხვდენ ერთმანეთს საქართველოს მშრომელნი და შორეულ ინგლისის მუშათა წარმომადგენლები.

ჩვენ ღრმად გვწამს, რომ ეს შეხვედრა უნაყოფოდ არ ჩაივლის და სათანადო შედეგებს გამოიღებს.

ვიმედოვნებთ, რომ ის დასრულდება საერთაშორისო მუშათა რიგების გაერთიანებით—შეტევაზე გადმოსული მსოფლიო ბურჟუაზიულ რეაქციის წინააღმდეგ.

ესტონეთში მომხდარ აჯანყების შესახებ.

აჯანყებულებს არ ჰყავდათ ძალთა საკმაო რაოდენობა.

სოციალისტ-შემთანხმებლებმა უღალატეს.

რეველიდან მიღებულ ცნობით აჯანყების საქმე კარგად იყო მოწყობილი, მაგრამ მონაწილეთა რიცხვი არ იყო საკმაო.

სოციალ-დემოკრატებმა და დამოუკიდებელმა სოციალისტებმა ხმა მისცეს საალყო წესების გამოცხადებას.

ხმები უცხოეთის წარმომადგენლების ქალაქიდან გასვლის შესახებ მართალი არ არის.

აჯანყებულები სასამართლოს არ ეუბნებიან თავიანთ სახელებს და საერთოდ დაკითხვის დროს ლაკონიურად (მოკლედ) უპასუხებენ. ჯერ-ჯერობით საველე სასამართლომ დახვრეტა გადაუწყვიტა 28 კაცს; მათ შორის არის პარლამენტის ყოფილი წევრი კიაბუ.

დააპატიმრეს 100-ზე მეტი კაცი.

გრძელდება აჯანყების მონაწილეთა დაპატიმრება, 3 დეკემბერს დააპატიმრეს 100-ზე მეტი კაცი. დახვრიტეს 7.

რამ მოუმზადა ნიადაგი გამოსვლებს.

საუბარი ესტონეთის კომპარტიის ცეკას წევრთან.

როსტას წარმომადგენელთან საუბარში ესტონეთის კომპარტიის ცეკას წევრმა რიასტამ ესტონეთის ამბების შესახებ განაცხადა:

„გარდა მთავრობის პროვოკაციისა რეველის აჯანყებას ხელი შეუწყო მუშათა კლასის მძიმე ეკონომიურმა მდგომარეობამ. ოფიციალურ ცნობის თანახმად ირიცხება 15.000 უმუშევარი, ფაქტიურად კი 20.000-დე იქნება.

არა უკეთეს მდგომარეობაშია საშვალო და ღარიბი გლეხობა. მძიმე პირობებში იმყოფებიან აგრეთვე გადასახლებულები, რომელთაც ძალიან მცირე ოდენი მიწის ნორმები ხვდათ და იძულებულნი არიან იხადონ ზღაპრული გადასახადი.

მუშებმა გამოსავალი აჯანყებაში დაინახეს.

ტომპის ბარბაროსული მკვლელობამ და 149 კაცის გასამართლებამ დაანახეს მუშებს, რომ თავის უფლებათა დაცვა და მეპატრონეებზე მოთხოვნილების წაყენება ბოროტებათ ითვლება ესტონეთის მთავრობის მიერ.

ეს აჯანყება ჩიხიდან გამოსვლის ცდა იყო, რომელსაც ნიადაგი მოუმზადა ესტონეთის ეკონომიურმა, პოლიტიკურმა მდგომარეობამ და მთავრობის მოქმედებამ.

უკანასკნელ ცნობების თანახმად მთავრობამ დიქტატურად დანიშნა ფაშისტი გენერალი ლაიდონორი. დახვრეტილ იქნა მრავალი მუშა. ლაიდონრის დანიშვნა მოასწავებს ძალაუფლების ფაშისტების ხელში გადასვლას.

თუ რომ აჯანყება საბოლოოდ იქნება ჩაქრობილი, ესტონეთში კიდევ მეტად გაძლიერდება თეთრი ტერორი.

დაიწყება ისეთი საშინელება, რომელსაც ვერ შეედრება ფინეთის კონტრ-რევოლიუციის საშინელი ზომები.

გერმანია.

ბურჟუაზიული სასამართლო.

პოლიტიკურთა გასამართლება.

ლეიპციგის ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ გამოიტანა განაჩენი მუშების შესახებ, რომელთაც ბრალად ედებათ ფაშისტის მოკვლა. ბრალდებულ გოფმანს მიუსაჯეს 5 წლის კატორღა, ხარატ ბირიხს—4 წლის კატორღა. დანარჩენებს 6—დან 11 თვემდის ციხე.

ჰანოვერში დაიწყო მუშათა გასამართლება. ამათაც ფაშისტის მოკვლა ბრალდებათ.

კომუნისტების გასამართლება.

ფრეიბურგში დამთავრდა კომუნისტების გასამართლება.

კუპეც (სახელია) შტეინერს მიუსაჯეს 8 წლის კატორღა, მწერალ რომელეს—7 წლის, მუშა ფრიცს -5 წლის, და 6 კაცს 4 დან სამი წლის კატორღა. დანარჩენებს მიუსაჯეს ნაკლები ვადით ციხე და კატორღა. 40 ბრალდებულიდან გაამართლეს 5 კაცი.

საბოლოო სიტყვაში ბრალდებულმა გერბსტერმა განაცხადა; „სიამოვნებით ვსწირავ თავს კომუნიზმის გამარჯვებისათვის".

შტერნერმა განაცხადა: „ვიყავ და დავრჩები კომუნისტად. შევალ ციხის კარებში კომუნისტი და გამოვალ ისევ კომუნისტი. 8 წლის დაყოფა საკატორღო ციხეში ძნელია, მაგრამ სასახელოა. ჩვენ გავიმარჯვებთ".

ბრალდებულმა ლანგედორფმა განაცხადა: „თქვენ გინდათ რეპრესიებით შეუშალოთ ხელი რევოლიუციას, მაგრამ მას ვერ შეაჩერებთ, პროლეტარიატის ბრძოლა—წმინდა ბრძოლაა."

რიუმლემ სთქვა: „მე ყოველთვის მზად ვარ შევსწირო ჩემი სიცოცხლე პროლეტარიატის საქმეს.

ამხ. რიკოვის მოხსენება ინჟენერთა კავშირის ყრილობაზე.

ტეხნიკურ ძალთა განვითარებას დიდი მნიშვნელობა აქვს მეურნეობაში.



ამხ. რიკოვმა ინჟენერთა კავშირის ყრილობაზე თავის სიტყვაში აღნიშნა მეცნიერებისა და ტეხნიკის დიადი მნიშვნელობა სახელმწიფოს მეურნეობის გაძლიერების საქმეში. ამისათვის—განაცხადა მან—საბჭოთა კავშირმა იმ თავითვე დაისახა მიზნად, რომ მეცნიერებისა და ტეხნიკის ყოველგვარი მიღწევები ხალხის კეთილდღეობისკენ მიემართა.

ინტელიგენციამ მიიღო ოქტომბრის რევოლიუცია.

შემდეგ ამხ. რიკოვი შეეხო ინტელიგენციის განვითარების ისტორიას ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ. მან აღნიშნა საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე დარჩენილ ინტელიგენციის მერყეობა პირველ ხანებში.

ბოლოს ინტელიგენციამ მიიღო ოქტომბრის რევოლიუცია.

დღეს ჩვენს ინტელიგენციას შეიძლება თამამად ეწოდოს საბჭოთა ინტელიგენციაო.

რევოლიუციამდი ინტელიგენცია სცხოვრობდა თავისთვის, მასებს გარეშე. ის არ იდგა გლეხთა და მუშათა მასებში და არ ჰქონია მნიშვნელოვანი გავლენა ჩვენს მოწინააღმდეგე ბანაკშიაც. მე, რასაკვირველია, მხედველობაში არ მყავს ის პირები, რომლებიც ცარიზმის ერთგული მოსამსახურე იყვნენ და ეხლა უცხოეთში იმყოფებიან. ინტელიგენციამ უნდა დასტოვოს ძველი გზა, რის მაგალითიც უკვე გვაქვს და გააძლიეროს მასებთან შეთანხმებული მუშაობა.

მეცნიერება და ტეხნიკა ხალხის ფართო მასების საკუთრებაა.

საჭიროა ხალხმა იცოდეს რომ მეცნიერებისა და ტეხნიკის მომუშავენი მათთან იმყოფებიან და მათ ინტერესებს ემსახურებიან.

ტეხნიკური ცოდნა—ეს საზოგადოებრივი საქმეა. დღევანდელი ჩვენი მორიგი ამოცანაა შრომის ნაყოფიერების ზრდა. ამ ამოცანას ჩვენ გადავჭრით მეცნიერული და ტეხნიკური გზით. ამიტომ ტეხნიკების, ინჟენერებისა და სპეციალისტების მნიშვნელობა ამ ჟამად მეტად დიდია.

დასასრულ ამხ. რიკოვი გამოსთქვამს ღრმა რწმენას, რომ საბჭოთა კავშირს დიდ დახმარებას გაუწევს ინტელიგენცია, მეცნიერებისა და ტეხნიკის მომუშავეები.

მუშა ფრიცმა წარმოსთქვა: „მე არ ვყოფილვარ კომუნისტი როცა ციხეში მივედი, მაგრამ იქედან კომუნისტი გამოვედიო."

პანების პოლონეთში.

უკრაინის სოციალ-დემოკრატების გასამართლება.

ლიუცკში (პოლონეთში) დაიწყო 21 სოციალ-დემოკრატის გასამართლება, რომელთაც ბრალად ედებათ მონაწილეობა დღეს უკვე დაშლილ, უკრაინის სოციალ-დემოკრა-

ტიულ პარტიაში.

მოწმეებად მოწვეული არიან ხსენებულ პარტიის ყოფილი დეპუტატები (ამ ჟამად კომუნისტური ფრაქციის წევრებია) ჰოიტიუკი, არშჩუკი და სხვები.

ლოძის ფეიქართა გაფიცვები.

ლოძის ფეიქართა გაფიცვები გრძელდება. გაფიცულებს შეუერთდა ვარშავის საფეიქრო ქარხანა-„ვოლია“-ს მუშები.

ცემა და წამება.

ჯალათების მსხვერპლი.

პოლონეთის განაპირა ერთ-ერთ ადგილას, პოლიციამ უმოწყალოდ სცემა და აწამა უკრაინის დეპუტატი ვარინეცი. ვარინეცი წამებისაგან ჭკუაზე შეიშალა. ამის შესახებ კომუნისტებმა შეკითხვა შეიტანეს სეიმში.

პოლონეთის სოციალისტების ცბიერება.

პოლონეთის სოციალისტურმა პარტიამ შეიტანა სეიმის ადმინისტრატიულ კომისიაში წინადადება, რათა მიენიჭოს ავტონომია ბელორუსიისა და უკრაინის მცხოვრებლებსო. ეს ერთგვარი დემონსტრაციაა, ვინაიდან ხსენებული პარტია ადრევე იყო დარწმუნებული, რომ ასეთი წინადადება არ გავიდოდა სეიმში.

მთელ ესტონეთში სამხედრო წესები გამოცხადებული.

დაწვრილებითი ცნობა აჯანყების შესახებ.

აჯანყებულთა საერთო რიცხვი 330-დე აღწევდა. ისინი შეიარაღებული იყვნენ რევოლვერებით, ხელის ყუმბარებით, და ძლიერი ბომბებით. დამარცხების შემდეგ აჯანყებულების ნაწილი გაიქცა, ნაწილმა კი ტყეში დაიხია.

რამოდენიმე კაცი ჰაეროპლანებით გაფრინდა ნარვასკენ. ერთი ჰაეროპლანი ჩამოეშვა ხუთი ვერსის მოშორებით ნარვადან, სადაც დაიჭირეს ერთი აჯანყულებთაგანი და გაგზავნეს რეველში.

ამ ჟამად აღდგენილია ყველა აფეთქებული ხიდები.

ქიმია-სამხედრო იარაღია.

შესაძლებელია თუ არა ჰაერში მომწამვლელ აირის გამოცნობა.

ყოველი საბრძოლო მომწამვლელი ნივთიერება მხოლოდ მაშინ სწამლავს ადამიანს, როცა ის ჰაერში იმყოფება აირის, ორთქლის ან მტვრის მზგავსად. საბრძოლო აირის შემჩნევა ჰაერში შეიძლება მხოლოდ ორ შემთხვევაში:

1. ქიმიურ აირის ჭურვის აფეთქების დროს და იქიდან გამოსულ აირიდან ჰაერში იქნება ორთქლის ღრუბელი იმ სინესტის გამო, რომელიც მუდამ არის ჰაერში. ასეთი ღრუბლის გამოჩენა მომასწავებელია იმის, რომ ჰაერში არის მომწამვლელი აირი. ეს ღრუბელი ძალიან ჩქარა ქრება.

2. ზოგიერთ საბრძოლო აირებს აქვთ თავის ბუნებრივი ფერი, მაგალითად, ყვითელი, მწვანე და წითელი და სხ. ამ ფერის შემწეობით შეიძლება გამორკვევა იმის, ჰაერში არის თუ არა მომწამვლელი აირი.

აგრეთვე არიან უფერულნი მომწამვლელი აირები, როგორც ჰაერი, მაგრამ მათაც ძლიერ სუნი აქვთ.

აირით მოწამლული ჰაერის გამოცნობა ადვილად შეიძლება სუნით.

ამის გარდა, ვინც კარგად არის გაცნობილი ქიმიას და საბრძოლო აირებს, შეუცდომლად შეუძლია სთქვას, რომელი აირითაა მოწამლული ჰაერი.

შემდეგ, შეიძლება აგრეთვე ისეთი აირების გამოცნობაც, რომელთაც არც ფერი და არც სუნი აქვთ. ასეთი აირების გამოსაცნობად ხმარობენ განსაკუთრებულ ჯოხებს, ბურთულებს და „კრუშკებს“, რომლებიც შეღებილია სხვა და სხვა ქიმიურ ნივთიერებით. ასეთი ბურთული ან „კრუშკა“ სუფთა ჰაერზე იქნება, მაგალითად, ყვითელი ფერის და თუ ჰაერში გამოჩნდა მომწამვლელი აირი, ბურთულს მაშინათვე ეცვლება ფერი და გახდება წითელი.



საფრანგეთის აირის საწინააღმდეგო ხელსაწყო (ნიღაბი) „ტისო“.

ბურთულის ფერის ცვლა არის უტყუარი მაჩვენებელი მომწამვლელი აირის გამოჩენისა.

ლ. ვ.

საბჭოთა საელჩოს თვალყურს ადევნებენ.

დივიზიის უფროსებს დაკისრებული აქვთ გენერალ—გუბერნატორების ვალდებულება. პერნოვოში და სხვა პროვინციალურ ქალაქებში აკრძალულია ყოველგვარი კრება და ქუჩაში თავმოყრა სამ კაცს ზევით.

საბჭოთა კავშირის საელჩოს შენობას უთვალყურებს პოლიციის განსაკუთრებული რაზმი, რომელიც უშვებს გარედ საელჩოს თანამშრომლებს საგარეო საქმეთა სამინისტროს ნებართვით.

ყოველ შემთხვევითი მომსვლელთა მიმართ აწარმოებენ დაკითხვასა და გამოძიებას.

უთანხმოება ეგვიპტესა და ინგლისს შორის.

მოითხოვენ ეგვიპტის მეფისაგან პარლამენტის მოწვევას.

ქაირიდან იუწყებიან, რომ 113 დეპუტატმა ხელი მოაწერა დადგენილებას და სთხოვა მეფე ფუადს სასწრაფოდ მოიწვიოს პარლამენტი. ასეთივე განცხადებით მიმართეს მეფეს სენატორებმაც.

საბჭოთა ფედერაცია.

პროვოკატორის დაპატიმრება.

დააპატიმრეს პროვოკატორი კოვალენკო, რომელიც 1908—9 წლეებში მუშაობდა ტფილისის „ოხრანკაში“ (დამცველ რაზმში.)

„წმინდა სამება“

კაიდანახში (განაპირა მუშათა უბანია ეკატერინოსლავში) გაასამართლეს „წმინდა სამება“, რომელიც დადიოდა ბოგაევსკის სოფლებში. ერთი ამ სამებათაგანი უწოდებდა თავის თავს ღმერთს, დანარჩენი კი—წმინდანებს.

სასამართლოში გამოირკვა, რომ ხსენებული ღმერთი ყოფილა „კულაკი“ (შეძლებული გლეხი). ისა და ერთი წმინდანთაგანი დიდხანს იმყოფებოდენ სულით ავადმყოფთა სახლში.

სასამართლოს დადგენილებით ორივე გაგზავნილ იქნა სამკურნალოდ. მეორე „წმინდანს“ კი მიუსაჯეს შვიდი თვის ციხე.

საგაზაფხულო თესვისათვის.

სახალხო მიწად-მოქმედების კომისარიატმა განკარგულება მისცა სასოფლო კავშირს დაამზადონ 13 მილიონი სხვა და სხვა კულტურის კარგი თესლი საგაზაფხულო კამპანიისათვის.

ტრაქტორების დამზადება.

მომავალი წლის განმავლობაში განზრახულია ახალი ტრაქტორების (მიწის დასამუშავებელი მანქანა) დამზადება, რაიც ჯდება 9 მილ. მანეთი. სულ დამზადებული იქნება 2.600 ტრაქტორი, ეს რიცხვი სრულიად დაკვეთილია წინასწარ.

ქვა-ნახშირის ახალი ფენები.

ენისეის გუბერნიაში აღმოაჩინეს ქვა-ნახშირის ახალი ფენები.

ს ო მ ხ ე თ ი.

„გრაფიტის“ ფენა.

ზანგეზურის რაიონში აღმოჩენილია „გრაფიტის“ ფენები. გამორკვევამ დაამტკიცა, რომ ის არა ნაკლები ღირსებისაა ცეილონის „გრაფიტზე“, რომელიც მთელს დედამიწაზე საუკეთესოდ ითვლება.

„გრაფიტის“ ფენები იმყოფება 40 ვერსის მანძილზე ჯულფა-ბაქოს რკინის გზიდან.

მუშაობა პიონერთა შორის.

პიონერების სოფლის აქტივის მომზადების მიზნით გადაწყვეტილია გაიხსნას იანვარში სამთვიანი კურსები.

მეფის ჯალათები რევოლუციონურ სამსჯავროს წინაშე.

დღეს ქიათურაში რევოლიუციონურ სამსჯავროს წინაშე წარსდგებიან ქართველი მშრომელი ხალხის ჯალათები, რომლებიც თვითმპყრობელობის დროს აოხრებდენ და აწიოკებდენ მშრომელთა კერას.

ეს ვაჟბატონები არიან შემდეგი პირები: ლავრენტი მახარაძე, კედია (მეფის ბოქაულები); მაჭავარიანი, ჭეჭიაშვილი, საყვარელიძე (სამივე აზნაურია).

ვის არ ახსოვს ამ კაცი-ჭამია ტირანების მოღვაწეობა საქართველოში და განსაკუთრებით შორაპნის მაზრაში.

ბოქაული მახარაძე და მისი შავი ამალა ნამდვილი ჯოჯოხეთური რისხვა იყო ხსენებული მაზრის მშრომელი გლეხკაცობისათვის.

იშვიათია ისეთი გლეხის ოჯახი შორაპნის მხარეში, რომელსაც არ მოხვედროდეს ამ მხეცების დაუნდობელი ბრჭყალები. ვინ მოსთვლის იმ საშინელ რეპრესიებს, დარბევას, წამებას, რომლითაც უმასპინძლდებოდა მეფის სატრაპი მახარაძე და მისი ამქრები გლეხობას, განსაკუთრებით მებრძოლ რევოლიუციონერებს. რამდენჯერ გადაუბუგავს და გადაუწვავს ამ ვაჟბატონს თავის რაზმით სოფლები, უწამებია დიდი და პატარა.

ვაი იმ რევოლიუციონერს, რომელიც ხელში ჩაუვარდებოდა ამ მხეცს. მას მოელოდა საშინელი ტანჯვა-წამება და სიკვდილი.

ერთი სიტყვით, შეუძლებელია გაზეთის ფურცლებზე ყველა იმ ბოროტებათა და შავი საქმეების აღნუსხვა, რომელიც მიუძღვის ხალხის წინაშე ამ პირებს. როგორ იქნა, რომ დღემდის ისინი თავისუფლად დათარეშობდენ სოციალისტურ ქვეყანაში და მხოლოდ ამ უკანასკნელ დროს ამოყვეს საპყრობილეში თავი?

რევოლიუციამ ერთის მოსმით გაანადგურა თვითმპყრობელობის დახავსებული შენობა. თავისი სწრაფი განვითარებით მან მშრომელთა ხალ წინაშე წამოაყენა დამკვრ ამოცანა---თვითმპყრობელობ თან ერთად ბურჟუაზიის მემამულეთა ბატონობის განა გურება. ამ ამოცანის შესრ ლებამ მოინდომა პროლე რიატის და გლეხობის ყვე ძალები და ყურადღება. სწ რედ თავისი ძალაუფლების შ ნარჩუნებისა და განმტკიცებ სათვის მუშაობის პროცეს პროლეტარიატის სამსჯავრ ფხიზელ თვალს გადაურჩნენ ვაჟბატონები.

მაგრამ მშვიდობიან ალმ ნებლობის დროს შეუძლებელ იყო, რომ არ შეგვემჩნია მწ რე წარსულის ეს საშინელ აჩრდილები.

მიუხედავათ იმისა, რომ დღ გამარჯვება მუშათა კლას ხელშია და მისი კეთილდღ ობა საუკუნოდ უზრუნველ ყოფილია, მას მაინც არ შ უძლია ამ ვაჟბატონების შა საქმეების დავიწყება; ის ვე მოითმენს მათ თავისუფა პარპაშს სოციალისტურ რე პუბლიკაში. მენშევიკებს გათ ხსირებულ ბურჟუაზიულ სას მართლომ გაამართლა მახარაძ ები, საერთოდ მენშევიკურ მთავრობა დიდის ნაყოფი სარგებლობდა მათი სამსახ რით.

მაგრამ ნამდვილ რევოლუ ციონურ ხელისუფლებას-საბ ჭოთა მთავრობას და კომპარ ტიას არ შეუძლია თავისუფ ლება მიანიჭოს იმ პირებს, რო მელთა ხელები გასვრილია ხა ლხის სისხლით.

პროლეტარულ ხელისუფ ლებამ გადასწყვიტა გაასამარ თლოს მეფის ჯალათები ი სადაც ისინი მოღვაწეობდნენ.

დეე! შორაპნის მაზრის მშ რომლებმა მოუთხრონ ქვე ყანას მახარაძეების შავი საქმე საგმირონი.

დეე! ყველამ დაინახოს რე ვოლიუციონურ სასამართლო სამართლიანი მსჯავრი.

—ი

„ლიტოგრაფიის“ (სახატავი) ქვა.

სამეცნიერო ექსპედიციამ სოფელ კარავან-სარაის ახლოს აღმოაჩინა მდიდარი ფენები „ლიტოგრაფიის“ ქვების.

ეს ქვები იმყოფებიან 6 ვე სის სივრცეზე.

საწერი მანქანების გამოწერა.

სომხეთის სამხკომსაბჭომ საბჭოთა კავშირის კომუნალური ბანკის საშუალებით დაუკვეთა ამერიკას 100 საწერ მანქანა სომხურ ასოებით.

შაქრის ქარხანა ლენინაკანში.

სომხეთის ტეხნიკურმა საბჭომ მოისმინა ინჟინერ იუზბაშოვის მოხსენება ლენინაკანში შაქრის ქარხნის აგების შესახებ.

საზოგადოებამ მოიწონა გეგმა და დაადგინა სთხოვოს სახ კომსაბჭოს გეგმის ცხოვრებ ში გატარება.

წითელი კომანდირები.

სომხეთის გასაბჭოების 4 წლის თავის დღესასწაულზე მოხდა 120 წითელი კომანდირის გამოშვება. ამათ რიცხვში უმ ტესობა კომკავშირელებია,

ჩვენი წითელი ყაზარმა

საკოლო საქმე 2-რე ტერ-ლეგიონში.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს ლეგიონის სკოლაში მეცადინეობა წერა-კითხვის უცოდინარ წითელ-არმიელთა შორის არ არის დაყენებული ისე, როგორც საჭიროა.

ამის დამაბრკოლებელი მიზეზები არის შემდეგი:

ყოველ-დღე საგარნიზონო ყარაული, შინა განწესება, სამუშაოები და სხვა.

მეცადინეობა სწარმოებს 3-დან 5 საათამდე; მასწავლებლებიც თავის დროზე მოდიან, მაგრამ, სამწუხაროდ, სწავლის დაწყება უნაყოფო ხდება, რადგან 3-4 წითელ არმიელის მეტს ვერ ნახავთ თითო ჯგუფში. ჯგუფში კი ირიცხება 14-16 კაცი.

ამით წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმე ფერხდება და მასწავლებლებსაც ერთი და იგივე გაკვეთილის მიცემა უხდებათ 3-4 დღეს, რომ მთელ ჯგუფს გაეცნონ.

არის კიდევ ისეთი შემთხვევები, რომლებიც ხელს უშლიან მეცადინეობის ნორმალურად მსვლელობას.

მეცადინეობის დროს, მორიგ ზემდეგმა 3 წით. არმიელი მოხსნა მეცადინეობიდან და წაიყვანა სამუშაოდ.

ასეთ მოვლენას ადგილი არ უნდა ჰქონდეს და მეცადინეობის დროს არავინ არ უნდა უშლიდეს ხელს მასწავლებელს.

წითელ-არმიელები დიდათ დაინტერესებულნი არიან სწავლის შეძენაში.

არის შემთხვევები, რომ ბევრს მოუმართავს ჩემთვის. „ამხ. მასწავლებელო, იქნება დაგვიხსნა ამ განწესებიდან და სამუშაოდან რომ არ გავცდეთ და სხვებს არ ჩამოვრჩეთ ცოდნის ძიებაში“.

იმედია ამ ზემოაღნიშნულ დაბრკოლებებს სათანადო ყურადღებას მიაქცევენ ლეგიონის ხელმძღვანელები და გარდა განწესებისა, რომელიც აუცილებელია, გაანთავისუფლებენ წერა-კითხვის უცოდინარ წით. არმიელებს ყოველგვარ სამუშაოდან მეცადინეობის დროს, რითაც ჩვენ შევძლებთ საქმის თავის დონეზე დაყენებას და შევასრულებთ ჩვენს ძვირფას ბელად მასწავლებელ ილიჩის ლოზუნგს: „ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავზე არ უნდა დარჩეს არც ერთი წერა-კითხვის უცოდინარი საბჭოთა რესპუბლიკებში“.

მასწავლებელი **გ. ნუცუბიძე.**

ჩვენც ამოგვირჩიეს მსაჯულებად.

პირველი მესანგრეთა ასეული.

28 ნოემბერს შესდგა ასეულის გაერთიანებული კრება, ამხ. ჯავახოვის თავმჯდომარეობით.

გასარჩევი იყო მრავალი საყურადღებო საკითხები და მათ შორის--წითელ არმიელების არჩევა ოლქის სასამართლოს და თბილისის სახალხო სასამართლოს მსაჯულებად.

მცირე განმარტებით ამ საკითხის შესახებ გამოვიდა ჩვენი სამხკომი ამხ. ჯავახოვი.

ის შეეხო საერთოდ მსაჯულების დანიშნულებას და იმასაც თუ როგორი უფლებები ეძლევა ჯარის კაცებს საბჭოთა ხელისუფლების დროს.

ძველი მთავრობების დროს მსაჯულების არჩევნებში მონაწილეობის მიღების ნება არ ჰქონდათ ჯ.-კაცებსო. ამხ. სიტყვის შემდეგ დაიწყო არჩევნები.

თბილისის სახალხო სასამართლოს მსაჯულებად არჩეული იქნა 12 კაცი, ხოლო საოლქოსათვის კი 2 წითელ არმიელი. ამხ. ჯავახოვისავე მოხსენების შემდეგ კრებამ ამოირჩია ცნობათა ბიურო.

ასეულში ეს ორგანო აუცილებელი შეიქნა, რადგან წითელ არმიელების ოჯახებიდან ხშირად მოდიოდა ცნობები, რომ მათ გადასახადებს ახდევინებენ და ანგარიშს არ უწევენ მას, რომ ოჯახის მარჩენალები გაწვეული არიან წითელ ჯარში.

ცნობათა ბიურო კი კავშირს დაიჭერს სოფლების ადგილობრივ ხელისუფლებებთან და ამნაირად ბოლო მოეღება გაუგებრობას.

არჩეული იქნენ ასეულის პასუხისმგებელი სამხკორი და პარტკორი, რის შემდეგ დავიშალენით.

სამხკორი **ლ. გიორგაძე.**

წერა-კითხვის უცოდინარობას ბოლო ეღება ჩვენს სკოლის თანამშრომლებში.

ქართულ მეთაურთა სკოლაში მსახურებენ ისეთი თანამშრომლები, რომლებსაც არაფერი გაეგებოდათ წერა-კითხვის. სწორედ ამიტომ ჩვენმა კომუჯრედმა განიზრახა წერა-კითხვის უცოდინარეობის სალიკვიდაციო სკოლის გახსნა. თითოეულ წერა-კითხვის უცოდინარ თანამშრომელს დაურიგდა კომუჯრედისაგან სამოსწავლო ნივთები და დაიწყო სწავლა.

ამ ჟამად მეცადინეობა სწარმოებს სამჯერ კვირაში, რომელიც სისტემატიურად მიმდინარეობს.

მოსწავლე თანამშრომლები დიდი ენერგიით ეკიდებიან სწავლის საქმეს.

შედეგები, მიუხედავად მცირე დროისა სკოლის დაარსებიდან, საუცხოვოა.

განსაკუთრებით ძლიერ მოხარული არიან მოხუცი თანამშრომელი ქალები.

—ჩვენი სიცოცხლის უკანასკნელ ხანებში მაინც მოვასწარით, რომ ჩვენი სახელი და გვარი დავსწეროთო—ამბობენ ისინი და თან ლოცავენ მათ მასწავლებლებს. კომუჯრედმა დიდი საქმე გააკეთა ხსენებული სკოლის დაარსებით. უსურვებთ მას უფრო ენერგიულ მუშაობას ამ მიმართულებით. ის მაგალითის მაჩვენებელი უნდა იქნეს სხვა ნაწილებისათვის ამ შემთხვევაში.

პარტკორი ნ.

მონდომებული მუშაობა.

პირველი ლეგიონის მეორე ასეული.

ჩვენი ასეული აუცილებლად განირჩევა ლეგიონის სხვა ასეულებიდან. ყველა ენერგიულად მუშაობს. მეთაურები და წითელ არმიელები ერთი სურვილით არიან გაღენთილი: რაც შეიძლება კარგად დააყენოს ასეულის საქმე და ამას კიდევაც მივახწიეთ.

ასეულის წითელი კუთხე ლამაზად არის მოწყობილი სხვა და სხვა სურათებით, პლაკატებით და ლოზუნგებით. აქ სწარმოებს ხმამაღალი კითხვა და საუბრები.

ასეულის თავი ამხ. მამულაშვილი კარგ ხელმძღვანელობას გვიწევს. ამას წინად შეაგროვა ასეულის მთელი შემადგენლობა და მოაწყო ილია ჭავჭავაძის პოემის გმირის „განდეგილის“ გასამართლება.

მისი ჩვენთან მოსვლის შემდეგ ძლიერ გამოცოცხლდა ასეული მეცადინეობა თავის დროზე სწარმოებს. საღამოობით კი შეგვაგროვებს ამხ. უფროსი არმიელებს და გვასწავლის რევოლიუციონურ სიმღერებს.

უფროსის ასეთი მოქცევა ძლიერ გვათამამებს და დიდ სურვილს იწვევს ჩვენში, რაც შეიძლება ნაყოფიერად გამოვიყენოთ წითელ ყაზარმაში ყოფნის დრო. ყველა მოწადინებული ვართ ცოდნით და საკმაოდ შეგნებული დაუბრუნდეთ ჩვენს სოფლებს.

წ. არ. შ. ტასოშვილი.

სამაგალითო ასეულის თავი.

ქართულ მეთაურთა სკოლის პირველ ასეულის უფროსად დანიშნულია ამხ. ლისინოვი.

იშვიათია ასეთი მეთაური, ისიც ძველი, რომელიც ესოდენ დაინტერესებული იყოს თავის წითელ მოლაშქრეების კეთილდღეობით. ამხანაგი დაუღალავად მუშაობს კურსანტების კულტურულად მომზადებისათვის. ლენინის კუთხე მისი უახლოესი ხელმძღვანელობით იქნა მოწყობილი. ხშირად გვიწევს მატერიალურ დახმარებასაც შესაძლებლობის ფარგლებში.

ყველა ამაებმა დაგვარწმუნა, რომ ამხ. ლისინოვს მართლა გულწრფელად სურს ჩვენთან მუშაობა და ჩვენი პროგრამის გაზიარება, რაც ყველა უპარტიო მეთაურებს არ ახასიათებს.

ასეულის კურსანტთა საერთო კრების დადგენილებით, ასეთი მოღვაწეობისათვის ამხ. ლისინოვი გამოცხადებული იქნა წითელ დაფაზე.

უსურვებთ ამხანაგს კიდევ უფრო მეტი ენერგია გამოიჩინოს თავის საყვარელ საქმეში.

კურსანტი **ნ. არჩუაშვილი.**

ცენტრალურ კლუბში.

3 დეკემბერს ცენტრალურ კლუბში გაიმართა საღამო-წარმოდგენა ქართული დივიზიის ნაწილებისათვის.

წარმოდგენის დაწყებამდე თეატრის ფოეში მოეწყო წითელ არმიელების შეჯიბრი ლექსთა თქმაში.

შეჯიბრებამ დიდი ხალისი გამოიწვია არმიელთა შორის, ბევრმა წაიკითხა მშვენიერი საკუთარი ლექსები.

გამარჯვებულებს დაურიგდათ საჩუქრები.

შემდეგ დაიდგა პიესა „შუშლილი“, რომელიც სრულიად არ შეეფერება წითელ არმელთა სცენას. რა საჭიროა მისი დადგმა?

წითელ არმიელებისათვის ის შეუფერებელია.

ამხ. ჩერქეზიშვილის მონაწილეობით დაიდგა აგრეთვე პიესა „ჯერ დაიხოცნენ—მერე იქორწინენ“. პიესა მწყობრად ჩატარდა, თუმცა ზოგი ერთი მონაწილენი მოისუსტებდენ.

კლუბის ადმინისტრაციის საყურადღებოთ უნდა ითქვას, რომ როცა იმართება საღამოები წითელ არმიელთათვის, საღამოს პროგრამა საინტერესო უნდა იყოს და სასარგებლო, რომ წითელ არმიელები შეეჩვიონ კლუბს.

დრამწრის ხელმძღვანელმა უნდა მიაქციოს ყურადღება, რათა პიესა კარგათ, ლამაზათ იყვეს დადგმული და არ ჰქონდეს არავითარი ნაკლი.

ამ საღამოს მოკარნახე უფრო მაღლა ლაპარაკობდა, ვიდრე მსახიობი.

შემდეგ საჭიროა იმდენი წითელ არმიელების გამოძახება კლუბში, რამდენიც ადგილია დარბაზში, თორემ საშინელ არევ-დარევას აქვს ადგილი. და ბევრი არმიელები იძულებული არიან უკან გაბრუნდენ, რაც არ არის სასურველი.

ე. ხუციშვილი.

ჩვენი წრეების მუშაობა.

უფროს მეთაურთა სკოლა.

ჩვენი სკოლის კლუბში ჩამოყალიბებული წრეები ენერგიულად აწარმოებენ მუშაობას. არსებულ წრეებს შორის უფრო იქცევენ ყურადღებას: ტაქტიკის წრე, ლიტერატურული, დრამატიული, სამხატვრო და მომღერალთა წრე.

ტაქტიკის შესასწავლი წრეები.

ტაქტიკას ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს და ამიტომ ჩვენ ერთი წრით არ დავკმაყოფილებულ ვართ. დავაარსეთ სამი წრე. წრეებში დაახლოებით 150 კაცამდე მეცადინეობენ.

უმთავრესი ყურადღება ექცევა წარსულ ომების ისტორიას, იდეიურ კავშირს და სხვა და სხვა მომენტებს ტაქტიკიდან აგრეთვე ვავსებთ იმ დანაკლის, რომელსაც ვერ ვასწრებთ სკოლაში მეცადინეობის დროს, ვიყვანთ სხვა და სხვა ტაქტიკურ ამოცანებს და სხვა.

ლიტ-წრე.

ლიტ-წრეში მეცადინეობა სწარმოებს კვირაში ერთხელ. ლიტ-წრის უმთავრესი მიზანი არის, რომ კურსანტებს უჩვენოს გზა ლიტერატურაში და გაიცნოს ყველა ჩვენი რევოლიუციონერი მწერლები და აგრეთვე შეისწავლოს მათი ნაწარმოებები.

მეცადინეობა ლიტ-წრეში კარგად მიმდინარეობს. ყოველ თუთხმეტში ერთხელ იმართება ლიტერატურული გმირების გასამართლება.

დრამ-წრე.

სამი წელია, რაც სკოლაში დრამ-წრე არსებობს, მაგრამ მისი მუშაობა ისე არ იყო ჩამოყალიბებული, როგორც არის ეხლა, მას აუარებელი მიზეზები უშლიდა ხელს მუშაობის წარმოებაში. დღეს მას საკმაოდ მომზადებული წევრები ყავს, რომლებიც ყოველ კვირას გვიმზადებს სკოლას ახალ რევოლიუციონურ პიესებს, მხოლოდ ცოტათი ხელს გვიშლის ქალების უყოლობა, მაგრამ ამას ვახერხებთ ხან კურსანტების დახმარებით ხან კი რეჟისორის.

სამხატვრო წრე.

სკოლაში დაარსებულია სამხატვრო წრეც, რომელშიაც შედიან ცოტათი თუ ბევრად მომზადებული ამხანაგები. სამხატვრო წრე დაკავშირებულია ლიტ-წრესთან, საიდანაც ის ღებულობს მასალებს. თვით კურსანტები აიღებენ რომელიმე მოთხრობას და თავისუფლად ხატავენ აქედან ილიუსტრაციებს, აგრეთვე შეუძლიათ წარმოდგენით დახატვა ჩვენი ბელადების სურათების და სხვა.

მომღერალთა წრე.

მომღერალთა წრეც არ რჩება უკან თავის ახალ-ახალ სიმღერებით. ამზადებენ საუცხოვო რევოლიუციონურ სიმღერებს, შარშან ჩვენს მომღერალთა გუნდს შეჯიბრება ქონდა სხვა სკოლებთან, სადაც მან თავის კარგ სიმღერებით პირველი ადგილი დაიჭირა. მომავალშიც იმედი გვაქვს სირცხვილს არ გვაჭმევს.

სამხკორი **მაის ია.**

პარტიული ცხოვრება

პოლიტიკური სკოლის ახკომკავშირის ცხოვრებიდან.

28 ნოემბერს პირველ დივიზიის პოლიტიკურ სკოლაში შესდგა ახალგაზ. ლენინური კომუნისტური კავშირის წევრთა კრება.

ეს კრება პირველი იყო ჩვენთან, რადგანაც ახკომკავშირის უჯრედი დღემდე არ ყოფილა დაარსებული სკოლაში. ჩვენს ახალგაზრდობას უხდებოდა მუშაობა კომუჯრედის დირექტივების ქვეშ და სრულიად გაითქვიფენ პარტიაში.

პლენუმის დადგენილების თანახმად, კომუჯრედმა უკანასკნელ სხდომის დროს გამოჰყო ახკომკავშირელთა უჯრედი; პირველ კრებაზე არჩეული იქნა სამი წევრისაგან კავშირის ბიურო, რომელმაც 28 ნოემბერს მოიწვია წევრების საერთო კრება.

მოსმენილ იქნა მოხსენებები შემდეგ საკითხებზე: ახკომკავშირების მოძრაობის ისტორია, პირადი საქმეები, სამოქალაქო ორგანიზაციებთან დაახლოება და წარმომადგენლების არჩევა.

ახკომკავშირების მოძრაობის შესახებ ვრცელი მოხსენებით გამოვიდა ამხ. შ. სიხარულიძე.

ამხანაგმა კარგად გაარკვია საკითხი. მშვენივრად შესძლო იმის გადმოცემა თუ როგორ სახეს ღებულობს ეს მოძრაობა საბჭოთა და ბურჟუაზიულ ქვეყნებში. აღნიშნა ახალგაზრდობის დამოკიდებულება პროფკავშირების მოძრაობასთან და მრავალი სხვა. მოხსენება დამაკმაყოფილებელი შეიქნა და გამოტანილი იქნა სათანადო რეზოლიუცია.

სამოქალაქო ორგანიზაციებთან დაახლოების მნიშვნელობა საკმაოდ გააშუქა ამხ. ლეკვეიშვილმა. კრებამ აირჩია ოთხი ამხანაგი სხვა და სხვა სამოქალაქო ორგანიზაციებთან მისამაგრებლად. კავშირის წევრების პირადი საქმეების გამო ინფორმაციული განცხადებით გამოვიდა ამხ. მდივანი. განცხადება მიღებული იქნა ცნობად. კრებამ აირჩია აგრეთვე ამხკორები.

პარტკორი **ნ. თავართქილაძე.**

საერთო კრება.

28 ნოემბერს შესდგა 3-მე ლეგიონის მესამე ათასეულის მთელი შემადგენლობის კრება.

გაირჩა შემდეგი საკითხები: ახალგაზრდა კომკავშირის მნიშვნელობა და კომპარტიაში წევრად მიღების წესი. ცირკულიარების განხილვა და სამნეო ჯგუფის არჩევნები.

ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის მიზანის და ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ გაბისონიამ.

ამხ. შეეხო კავშირის ისტორიას, მის არალეგარულ მუშაობას და მრავალ სხვა საყურადღებო ფაქტებს.

ბოლოს აღნიშნა თუ როგორი წესით სწარმოებს მსურველ ამხანაგების მიღება პარტიის რიგებში, და ვის ეძლევა ამ შემთხვევაში უპირატესობა.

კომოჯრედის მდივანმა ამხ. ჩიტიაშვილმა გააცნო კრებას ცირკულიარების შინაარსი, რომლებიც მიღებული იქნა ცნობად და სახელმძღვანელოდ.

არჩეული იქნა აგრეთვე ათასეულის დამხმარე ჯგუფი.

მიმდინარე საკითხებში შამოვიდა ამხ. გაბისონის განცხადება კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგიის მუშაობის შესახებ. როგორც განცხადებიდან გამოირკვა სხვა და სხვა გადაუდებელი საქმეების გამო, კოლეგიის მუშაობა ძლიერ შეფერხებულა, რაც ამ ჟამად ისევ ენერგიულად დაიწყებაო.

პარტკორი გ—ა.

მეექვსე (ყოფილი მეორე) ტერ-ლეგიონის მესამე ასეულის გამგზავრება დუშეთში.

სამ დეკემბერს მეექვსე ლეგიონის მესამე ასეული გაემგზავრა დუშეთში. დილიდანვე მხიარულება ეტყობოდა მთელ ლეგიონს და განსაკუთრებით მხიარულებდენ მესამე ასეულის წითელ არმიელები.

როგორც დღეს გამოირკვა ბევრს არც კი უნახავს დუშეთი სწორედ ამიტომ არიან ამხანაგები ასე მოხარული გამგზავრებით.

მოაწია წასვლის დრომ. ყველაფერი მზად არის უკვე. ასეულის თავი ამხ. ცხვედიანი დაემშვიდობა თავის ამხანაგებს. გაისმა ბრძანება და—მესამე ასეული უკვე გაემგზავრა დანიშნულებისამებრ.

ჩვენს მოლაშქრებს ძლიერ აინტერესებდათ დუშეთის მშრომელი გლეხობის გაცნობა, რასაც ისინი ხშირად ამბობდენ საუბრებში.

ჩვენ სრულიად დაიმედებული ვართ, რომ გამგზავრებული ამხანაგები ენერგიულად შეუდგებიან ადგილობრივ მშრომელ გლეხობაში მუშაობას.

ამხანაგებო, საქმიანი მუშაობით ერთხელ კიდევ დაუმტკიცეთ ჩვენს მტრებს, რომ სამხედრო საქმესთან ერთად ჩვენ სხვასაც ვიძენთ და ვავრცელებთ ხალხში.

მჭიდრო კავშირი ადგილობრივ გლეხობასთან, დაეხმარეთ მათ ყოველ გვარ საჭირბოროტო საკითხების გადაჭრაში.

გაშალეთ კულტურული ფრონტი გლეხობაში და აჩვენეთ მათ თუ როგორ უნდა საერთო საქმისათვის მუშაობა.

დაარსეთ სხვა და სხვა წრეები, ჩაითრიეთ შიგ მშრომელი გლეხობა. გამართეთ ხმამაღალი კითხვა და საუბრები. ადგილობრივი ორგანოები ყოველ გვარ დახმარებას გაგიწევენ ამ საქმიანობაში.

აი რა დაავალეს ჩვენი ლეგიონის მესვეურებმა მიმავალ ასეულს.

დარწმუნებული ვართ ისინი შესძლებენ ამის შესრულებას.

სამხკორი **ესმაშვილი.**

თავისუფალ წუთებში.

ერთი გმირის ისტორია.

(მამასახლისის ნაამბობი).

პაპანაქება ზაფხულის დღეა სიარულში გაუჩვეველი, დაქანცული ახალგაზრა წითელ არმიელები ძლივს მიათრევდენ ფეხებს. როგორ უნდა შეეჩვეოდენ მწყობრში სიარულს, როდესაც სულ სამი კვირაა რაც ყაზარმებში მოვიდენ და ეხლავე ბრძოლის ველზე მიეშურებიან.

მოიქანცენ, მოიკუნტენ ბიჭები... ცხელა... თოფი მეტის მეტად დამძიმდა,

„გავსწიოთ, გავსწიოთ ამხანაგებო, შეუძახა გძელწვერა მამასახლისმა, ტყემდე როგორმე მივაღწიოთ და იქ გადვეგრილეთ“.

მოიკრიბეს ძალა ბიჭებმა.

აი ტყეც...

აბა, წამოწექით, დაისვენეთ.

მამასახლისი ჯერ კიდევ ყოჩაღათ იყო და სრულიად არ ეტყობოდა დაღლილობა.

ეჰ დედასა, ეუბნება ის წითელ არმიელებს, თქვენ ჯერ კიდევ ახალგაზრდები ხართ... ხუთი ვერსი გაიარეთ და ლამის ენები წამოგივარდეთ პირიდან... თოფები გამძიმებთ... გცხელათ.. ჰაი დედასა, მერე კიდევ წითელ არმიელები ხართ. ჩვენ 60 ვერსზე სულ შეტევაზე გადავდიოდით და არც ვიჩნევდით. როგორ შეიძლება რომ წითელ არმიელს თოფმა დაამძიმოს.

თოფი, ძმაო, პოზიციაზე ნამდვილი მეგობარია... ამხანაგი... თქვენ კი ლაპარაკობთ თოფი გვამძიმებსო...

იმიტომ გამძიმებთ, რომ არ იცით როგორ უნდა მოუაროთ მას.

ეხლა რა თქმა უნდა ომიანობის ხანაა, სწავლის დრო არაა..., მაგრამ თითეულმა თქვენგანმა ფრონტზე უნდა ისწავლოს თოფის ხმარება.

ომში ის არის მამაცი, ვინც თოფი იცის თავიდან ფეხებამდე.

ერთხელ ფრონტზე ცხენოსნები გამომედევნენ.. მე არ დავბნეულვარ... ჩავწექი... დავუმიზნე... ამოვიღე მიზანში და ორი გადავატრიალე, დანარჩენები კი დაფრთხენ და გაიქცა-გამოიქცენ.

რომ გავქცეულიყავი—თქვენი მტერია, ეხლა საიქიოში ვიქნებოდი თავ ამოყოფილი.

რა იყო იმის მიზეზი, რომ არ დავბნეულვარ? ის რომ თავის იმედი მაქვს, თუ მოვასწარი თოფის გადმოღება მიზანს არ ავაცდენ.

აი კიდევ ამხანაგებო—იყო ჩვენთან ერთი—პეტროვს უძახოდით... ერთხელ ის თავზე წააწყდა მტრის მზვერავებს... ჩაუწვა, მოეწყო.., დაუწყო სროლა, მაგრამ რას იზამდა, როდესაც არ იცოდა მიზანში ამოღება.. დაიღუპა საწყალი ბიჭი... რომ კარგად სცოდნოდა თოფის ხმარება, ეხლა ცოცხალი იქნებოდა...

აბა ადექით ამხანაგებო—შეუძახა მოულოდნელად მამასახლისმა. წითელ არმიელები წამოიშალენ და გაუდგენ გზას პოზიციებისაკენ.

ლ—ს.

ჩვენი სოფლის ცხოვრება

ჭაობების ამოშრობა.

სოფ. ქვალონსა და ჰალადიდის (სამეგრელოში) მახლობლათ შეუდგენ ჭაობის ამოსაშრობათ სათანადო მუშაობას.

აგრანომები სოფლათ.

მიწად-მოქმ. კომის. სასოფლო-სამერნეო განყოფილება იმუშავებს გეგმას სოფლებში მყოფ აგრონომების სასეზონო სამუშაოებისათვის.

სკოლის ასაგებათ.

სოფელი სარფის (აჭარაშია, ოსმალეთის საზღვართან) მცხოვრებლებმა მოაგროვეს 2000 ოსმ. ლირა სკოლის დიდი შენობის ასაგებათ.

ეპიდემიის თავიდან ასაცილებლათ.

ქუთაისის ალმასკომმა გამოსცა სავალდებულო დადგენილება, რათა პარტახტიანი ტიფის შესაძლებელი გავრცელების თავიდან ასაცილებლათ, სასტუმროების, სამიკტნოების და გასაჩერებელ სახლების პატრონებმა ყოველ თვეში ერთხელ მოახდინონ დეზინფექცია.

საზამთრო ტანსაცმელი ბავშვებს.

ქუთ. ალმასკომმა გადასდო 600 მანეთი ს. წულუკიძის სახელობის საბავშო სახლის ბავშვებისათვის საზამთრო ტანსაცმელის შესაძენათ.

მეცნიერება და ტეხნიკა.

როგორ შეიძლება წინდაწინ იქნეს გამოცნობილი ცივი და თბილი ზამთარი.

ხ. შვინდტის გამოკვლევა იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება წინდაწინვე იქნეს გაგებული ყოველი მომავალი ზამთრის ჰავა, დიდ მიხწევად უნდა ჩაითვალოს. ჯერ ძნელია იმის თქმა, თუ რამდენად გამართლდება შვინდტის გამოკვლევანი, მაგრამ წინამდებარე ზამთარი ალბად ამას აშკარად ყოფს და დაამტკიცებს თუ რამდენად საფუძვლიანია ის.

საინტერესოა ის, რომ ამა თუ იმ ზამთრის ჰავა დამოკიდებული ყოფილა ერთის მხრივ მთვარის მდგომარეობაზე დედამიწის მიმართ და მეორე მხრივ კი მზის ზედაპირზე გაჩენილ შავ ლაქებზე—წერტილებზე.

თბილი ზამთარი მაშინ არის მოსალოდნელიო, ამბობს შვინდტი, როდესაც ზამთრის დასაწყისი შეხვდება სავსე მთვარეს, რომელიც რაც შეიძლება მოახლოებულია დედამიწასთან და მაღლაა ასული ცის თაღზე. ამასთანავე მაშინაც, როდესაც მზეზე ნაკლებად არის შავი ლაქები, სხვანაირად მზის შავი ლაქების მინიმუმის პერიოდში.

ცივი და მკაცრი ზამთარი კი მაშინ იქნება მოსალოდნელი, როდესაც ზამთრის დასაწყისს ხვდება ახალი—არა სავსე მთვარის მოახლოება მიწას თან ეს გამოკვლევები—დამტკიცებული იქნა აგრეთვე ასტრონომიულადაც მირბახის მიერ, განსაკუთრებით ქალაქ ვენისათვის (ავსტრიაშია).

წელს ზამთარი დაიწყო არა სავსე მთვარით. მთვარეც მოახლოებულია დედამიწასთან. ამნაირად შვინდტის გამოკვლევის თანახმად წრევანდელი ზამთარი უნდა იქნეს მკაცრი და სუსხიანი, მაგრამ მეორე მხრივ მხედველობაში არის მისაღები ისიც, რომ გასულ წელში მზეზე ძლიერ ცოტა შავი ლაქები იყო, რომელიც შვინდტის აზრით ხელს უწყობს თბილი ზამთრის დადგომას.

შირის (რეზინის) ქვაფენილები.

ქალაქ ბოსტონში (ჩრდილოეთი ამერიკა) მოახდინეს მეტად საინტერესო ცდა. ქალაქის ქუჩები ქვების ნაცვლად მოაგეს შირით (რეზინით). ქუჩები დაგებულია შირის ნაჭრებისაგან. თითეული ნაჭერის სიგრძე უდრის 12 გოჯს, სიგანე 5 გოჯს და სისქე კი ერთს.

ახალი ქვაფენილი მეტად მტკიცე გამოდგა. ქალაქის ქუჩებში მოძრაობა სრულიად არ იწვევს არავითარ ხმაურს. შირის ნაჭრები მზადდება წმინდა შირისაგან.

ახალი მიხწევები რადიო საქმეში.

როგორც ყველასთვის ცნობილია, რადიო ტალღები ვრცელდებიან ჰაერში უმავთულოდ. ამაში გამოიხატება მისი განსაკუთრებული ნიშანდობლიობა.

ამ ჟამად გერმანიაში და სხვა ტეხნიკურად განვითარებულ ქვეყნებში იმდენად გავრცელდა რადიო აპარატების მოხმარება, იმდენად დაინტერესებული არიან ამით, რომ თავის თავად დაიბადა მოთხოვნილება ერთში: ყველგან, რადიო სადგურებისათვის აუცილებელანტენების დადგმა ძნელი შეიქნა. უნდა გამონახულიყო სხვანაირი საშვალება რადიო სადგურების მოხმარებისათვის. მართლაც გერმანიაში მიაღწიეს ამ მიზანს. რადიო ტალღებ გადაყავთ მავთულებზე და ყველას ვისაც კი შეძენილი აქვს რადიო ტალღების მიმღებ აპარატი (დეტექტორი) ადვილად შეუძლიათ მიიღონ ცნობები: დიდ ქალაქებში გამართული კონცერტები და სხვა ადვილად შეიძლება მოსმენილ იქნეს მიყრუებულ სოფლებშიდაც. ამისათვის საჭირო ტელეგრაფის მავთულები შეუერთდეს იაფ ფასიან მიმღებ სადგურებს—დეტექტორებს მიზანი მიხწეულია. მავთულზე მიმართული რადიო ტალღებ ყველაფერს მოგასმენიებს ადამიანს.

ახალი ამბები.

— **პოლიტმეცადინეობა.** ამ ჟამად ქართ. წით. ჯარის ნაწილებში სწარმოებს მეცადინეობა უფშემადგენლობასა და ა. ლენინ. კომკავშირის წევრებთა შორის. მეცადინეობა დასრულდება დეკემბრის ბოლო რიცხვებში.

— **წით. არმიელთა კლუბში.** ორშაბათს, 8 დეკემბერს წით. არმიელთა ცენტრალურ კლუბში დადგმულ იქნება წარმოდგენა წითელ არმიელთა და უფპოლიტშემადგენლობისათვის.

— **სულით ავადმყოფთა სახელოსნოსათვის.** საკურორტო სამართველომ გადასცა სურამის სულით ავათმყოფთა სახელოსნოს 2000 მანეთის სატყეო მასალა.

— **მეფუტკრეობის კურსები.** მიწად-მოქმედ. კომისარიატის ინიციატივით ზოგიერთ მაზრებში-განზრახულია გაიხსნას მეფუტკრეობის კურსები.

— **გაზეთები სასოფლო სკოლებს.** ა. კ. სახკომსაბჭომ დაადგინა ყოველ სასოფლო სკოლა უზრუნველყოს თითო გაზეთით და ამ მიზნით გადადოს სარეზერვო ფონდიდან 15.000 მანეთი.

— **მასალები თემურ სისტემაზე გადასასვლელად.** შინ. საქ. კომისარიატმა თითქმი ყველა მაზრებიდან მიიღო უკვ ყოველგვარი მასალები, თემური სისტემის შემოსაღებათ.

— **„გლეხთა ბიბლიოთეკის“ გასაიაფებლათ.** ა. კავ სახ. კომ საბჭომ წინადადებ მისცა ა. კ. ფინანსთა კომისარიატს გადასდოს სათადარიგო ფონდიდან 5.000 მანეთი „გლეხური ბიბლიოთეკის“ გამოცემათა გასაიაფებლათ.

— **ახტალის ტალახის გაგზავნა რუსეთში.** ახლო ხანში დაიწყება ახტალის ტალახი გაზიდვა მოსკოვში.

— **აეროდრომი სოხუმში.** ამ ჟამად სოხუმში აშენებ დიდ აეროდრომს. მუშაობ დასრულდება ახლო ხანში.

ხელოვნება.

— **ქართ. მსახიობთა კოლექტივი.** ქართველ მსახიობთა კოლექტივმა დაადგინა ყოველ თავის წარმოდგენაზე დაუთმოს სამხედრო უწყებას 2 უფასო ბილეთი. ბილეთებ რიგ-რიგობით დაურიგდება ნაწილებს.

— **წითელი თეატრი.** კვ რას წითელ თეატრში დაი გმება პირველათ ქართულ ენ ზე ახალი რევოლიუც. პიე „გესმის მოსკოვ.“

ჩვენი ფოსტა.

ამხ. ასათიანს. თქვენი წერილი: „ცოტა რამ ლაბორატორიების შესახებ“ არ დაიბეჭდება.

ამხ. ბურჯულაძეს. „ჩვენი პოლიტიკა განათლების დარგში“ არ გავა. ჯერ ერთი წერილი შინაარსითაც არაა საინტერესო და შემდეგ უნდა იცოდეთ, რომ ქალა დის ორივე გვერდზე წერილ წერილებს რედაქც არ ღებულობს.

ამხ. ვ. ას—ვი. თქვენი პას ხი „ამხანაგ კოსტავასადმ არ გავა. ძლიერ დაწვრი მანებულია.

პასუხის-მგებელი
რედაქტორი **ლ. ჩანტლაძე.**

დაკარგე საკავშირო ასეულის არმიელის, ლერია ივანესძე გოგიბერიძის სახ ლზე გაცემული სიმწიფის მოწმობა № 142 და მეტრი ლი აღმოწერილობა. ჩაითვალოს გაუქმებულად.

ნ.დ. ს. ც ტირაჟი 1500 სამხედრო სტამბა კუცხოველის ქ. 3.